



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/19

ქ. თბილისი

19 მაისი 2022


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტ გიორგი ციკოლიასათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის და 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის № 01-05-04/31 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის („ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“) სტუდენტს, გიორგი ციკოლიას (პირადი №62709012338), რომელსაც „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის №1131254 ბრძანების შესაბამისად, „დიმიტრი გულიასა და კობტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2020/2021 წლიდან დანიშნული ჰქონდა დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდია თვეში 300 ლარის ოდენობით და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო შეუჩერდა სტიპენდიის გაცემა, გაუგრძელდეს სტიპენდიის გაცემა უნივერსიტეტის ასიგნებების ფარგლებში 2021/2022 სასწავლო წლის განმავლობაში, თვეში 300 ლარის ოდენობით (2021 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი; 2022 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი);

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოვიძე